საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

№ 01 „02" 02 2018 წ.

საქართველოს პარლამენტის

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს

ასლი: საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ დიმიტრი ცქიტიშვილს

ასლი: საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანს

ბატონ შალვა თადუმაძეს

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტროს

2018 წლის 01 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში - „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის მიერ, ბატონი დიმიტრი ცქიტიშვილის თავმჯდომარეობით კანონპროექტი განხილულ იქნა მე-17 მუხლიდან, ხოლო კანონპროექტის სრული ვერსიის განხილვასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინიციატივაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებს ეთქვათ უარი.

წარმოდგენილი წერილით, გვსურს გაცნობებთ, რომ კანონპროექტის მიმართ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კვლავ

გააჩნია პრინციპული ხასიათის, როგორც სამართლებრივი, ისე სოციალურ-ეკონომიკური პროფილის მატარებელი შენიშვნები/წინადადებები:

1. კანონის მოქმედების სფერო

1.1. მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოები

კანონპროექტის მიხედვით, მისი მოქმედება ვრცელდება - მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ნორმა შესაძლოა ინტერპრეტირებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანების შესაბამისად (<u>რომელიც განსაზღვრავს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების უაღრესად ვრცელ ნუსხას და აფართოებს კანონპროექტის მოქმედების არეალს</u>) არა სამართლებრივი, არამედ პრაქტიკაში იმპლემენტაციის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ საზოგადოებაში გამოიწვევს კანონპროექტის მიზნების და რეგულირების სფეროს არაერთგვაროვან აღქმას და ბუნდოვანებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით და საზოგადოებაში მცდარი მოლოდინების შექმნის თავიდან აცილების მიზნით, კანონპროექტი რედაქტირებულ უნდა იქნეს და უფრო ცხადად/მკაფიოდ განისაზღვროს, რომ მის მოქმედების სფერო არის უფრო ვიწრო, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ზემოხსენებული ბრძანებით. კერძოდ კანონპროექტით ცალსახად უნდა განისაზღვროს, რომ მის მოქმედება ვრცელდება - **მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე და მავნეპირობებიან სამუშაოებზე და არა - მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოებზე.**

[აქვე დამატებით ავღნიშნავთ, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს <u>იურიდიული ხასიათის</u> შენიშვნები არ გააჩნია.]

1.2. საჯარო სექტორი

თუ კანონის მოქმედების სფეროს საჯარო სექტორზე გავრცელება - საჯარო დაწესებულებების ინსპექტირებას ისახავს მიზნად საგულისხმოა, რომ აღნიშნული მიზანი არსებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ მიიღწევა, ვინაიდან:

- არც შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 89/391/EEC ჩარჩო-დირექტივა (,,სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების

შესახებ“) და არც თავად წარმოდგენილი კანონპროექტი არ ვრცელდება საჯარო სექტორის ისეთ წარმომადგენლებზე (შეიარაღებული ძალები, პოლიცია და სხვა.), რომელთა საქმიანობაც ყველაზე უფრო მეტად უკავშირდება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს.

- საჯარო დაწესებულებებში მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების (მაგ. ლიფტების) მართვასთან/ინსპექტირებასთან დაკავშირებულ პროცესებს, როგორც წესი ახორციელებენ შესაბამისი კერძო სამართლის სუბიექტები - საჯარო დაწესებულებების კონტრაქტორი კომპანიები, რომლებზეც ისედაც ვრცელდება წარმოდგენილი კანონპროექტი.

- ხოლო, ვინაიდან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც წესი გამოდიან, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, აღნიშნული საწარმოები ასევე *a prior* ექცევიან კანონის მოქმედების ქვეშ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბუნდოვანია თუ რა მიზანს ემსახურება კანონპროექტის მოქმედების სფეროს საჯარო სექტორზე გავრცელება, ვინაიდან ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ინსპექტირებას დაქვემდებარებულ სუბიექტს, წარმოადგენს არა საჯარო დაწესებულება, არამედ კერძო სამართლის სუბიექტი.

შესაბამისად სამინისტროს პოზიციით, კანონპროექტის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს საჯარო სექტორზე და შესაბამისი ფინანსური თუ ადამიანური რესურსების მობილიზაცია, უნდა მოხდეს შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობის რეალური რისკის მატარებელი დაწესებულებების მიმართ.

2. მძიმე სამუშაო, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განმარტება

კანონპროექტის მე-3 მუხლში (ტერმინთა განმარტება) განმარტებულია მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოები.

კანონპროექტის მე-2 მუხლის პირველი მუხლის მიხედვით კი - საქართველოს მთავრობა ამტკიცებს კონკრეტული საქმიანობების ნუსხას, რომლითაც ამომწურავად უნდა განსაზღვროს ასეთი საქმიანობების ჩამონათვალი.

შესაბამისად ზემოხსენებული ტერმინების კანონის დონეზე განმარტება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი ნუსხის დამტკიცების შემთხვევაში, გაჩნდება ორი სახის პარალელური სამართლებრივი რეჟიმი, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზემოხსენებული ტერმინების არაერთგვაროვან

ინტერპრეტაციას და კანონის მოქმედების სფეროს გახდის კიდევ უფრო მეტად ბუნდოვანს.

3. დამსაქმებლის პასუხისმგებლობა

კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად - ,,დასაქმებულის ვალდებულებები შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, გავლენას არ ახდენს დამსაქმებლის პასუხისმგებლობის პრინციპზე.".

ხოლო კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით - ,,დამსაქმებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევა გამოწვეული იქნა იმ გარემოებების გამო, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო ან რომლებიც არ იყვნენ დამსაქმებლის პირდაპირი კონტროლის ქვეშ ან ისეთი **მოსალოდნელი გარემოებების** გამო, რომელთა თავიდან აცილება ვერ მოხერხდა, მიუხედავად დამსაქმებლის მხრიდან შესაბამისი ძალისხმევისა, ან შემთხვევა გამოწვეულია **დასაქმებულის მიერ წინასწარი განზრახვით.".**

საგულისხმოა, რომ მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი ბლანკეტურად გამორიცხავს დამსაქმებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ **წინააღმდეგობაში მოდის, ამავე მუხლის მე-12 პუნქტთან (იხ. ქვემოთ)**, რომელიც რიგ შემთხვევებში დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს.

გარდა ამისა ლოგიკური იქნება, თუ ზემოხსენებულ პუნქტში, ნაცვლად ,,მოსალოდნელი გარემოებებისა"-სა, მიეთითება ფრაზა - ,,მოულოდნელი გარემოებები", რადგან თავად 89/391/EEC ჩარჩო-დირექტივაშიც გამოყენებულია ტერმინი - **,,unforeseeable"**.

მე-12 პუნქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მოცემული რეგულაციით დამსაქმებლის მიმართ წესდება შეუსაბამოდ მაღალი და არათანაზომიერი პასუხისმგებლობის სტანდარტი, ვინაიდან დამსაქმებელი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ შემთხვევა გამოწვეულია დასაქმებულის წინასწარი განზრახვით (რაც მაღალი ალბათობით, შესაძლოა საწარმოს არსებობის მანძილზე სრულიადაც არ დაფიქსირდეს), ხოლო რეგულაცია არაფერს ამბობს დასაქმებულის უხეშ გაუფრთხილებლობაზე, რომელიც წარმოადგენს დამსაქმებლის კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას და მისი გამომწვევი მიზეზი მაგალითისთვის შესაძლოა იყოს სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულის მხრიდან შესაბამისი წინდახედულობის ნორმების უგულებელყოფა.

ამდენად, გაუმართლებელი და ლოგიკას მოკლებულია დამსაქმებლის

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მიბმული იყოს ამგვარ უკიდურესად ვიწრო ხასიათის შემთხვევაზე (უბედური შემთხვევის დადგომა დასაქმებულის წინასწარი განზრახვით). შესაბამისად ნორმის დისპოზიციაში უნდა მიეთითოს **,,დასაქმებულის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობა"**-ის შესახებ და იგი უნდა გახდეს დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი, რაც თავის მხრივ დამატებით, ასევე უზრუნველყოფს - დასაქმებულის მხრიდან პასუხისმგებლიან ქცევას და უბედური შემთხვევების დადგომის რისკების შემცირებას.

4. სასამართლოს ავტორიზაციის გარეშე საწარმოს განმეორებითი ინსპექტირება

გაურკვეველია კანონპროექტის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის ჩანაწერი, (,,---მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ;").

ვინაიდან აღნიშნული საკითხი შეეხება მოსამართლის ბრძანების - ანუ შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე ინსპექტირების ორგანოს მიერ საწარმოში შრომითი ინსპექტირების განხორციელებას, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნორმა მკაფიოდ იქნეს ფორმულირებული, რათა შეიქმნას მისი საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე იმპლემენტაციის წინაპირობა.

5. ,,კომპეტენტური უწყებები"

კანონპროექტის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია აღრიცხოს უბედური და პროფესიული დაავადებების შემთხვევები სამუშაო სივრცეში, რაც გულისხმობს: კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების განსაზღვრას.

ბუნდოვანია ზემოხსენებული ნორმის შინაარსი. გარდა აღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული საკითხი დამსაქმებლის მიმართ ვალდებულების სახით ყალიბდება, ხოლო **ვალდებულების დაკისრებასთან ერთად ჩნდება მისი შესრულების მოთხოვნაც,** მიზანშეწონილია უფრო მეტი სიცხადით განისაზღვროს, თუ რომელი უწყებები იგულისხმებიან ,,კომპეტენტურ უწყებებში".

დასასრულს, ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ზემოხსენებული პოზიციის გათვალისწინებით, მხარს უჭერს - „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებას და მზადყოფნას გამოთქვამს აქტიურად ჩაერთოს კანონპროექტთან დაკავშირებულ შემდგომ კონსულტაციებში.

პატივისცემით,

ოთარ იაშაღაშვილი
უფროსი

იურიდიული დეპარტამენტის